



## IX მონვევის პარლამენტის მიერ განხილული კანონპროექტები ქალთა უფლებრივი გაძლიერების მიმართულებით

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა უფლებრივი გაძლიერების მიმართულებით IX მონვევის (2016-2020) პარლამენტი აქტიურად მუშაობს, წინა მონვევის პარლამენტთან შედარებით, ამ მხრივ 2016-2017 წლებში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა:

- კონსტიტუციაში განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. **სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად<sup>1</sup>.**
- პარლამენტმა მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირება, რომლის შესაბამისად ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაში.

**პარლამენტში მიმდინარეობს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა, მათ შორის გენდერული კვოტირების შემოღებისა და სექსუალური შევიწროების აკრძალვის თაობაზე.** საკანონმდებლო ცვლილებების ნაწილზე მუშაობა მიმდინარეობს გენდერული თანასწორობის საბჭოს<sup>2</sup> ფორმატში.

**მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილ საკითხებზე მსჯელობა არ გაჭიანურდეს და დროულად მოხდეს შესაბამისი ცვლილებების მიღება. ვიმედოვნებთ, პარლამენტში ფართო მხარდაჭერა ექნება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა უფლებრივი (მათ შორის პოლიტიკური უფლებების) გაძლიერების მიმართულებით წარდგენილ ინიციატივებს.**

1 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, მესამე ნაწილი, ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე <https://goo.gl/EtVMfB> თანასწორობის უფლების შესახებ მოქმედ რედაქცია გულისხმობს შემდეგს: მუხლი 14. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

2 გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს. <https://goo.gl/Q3Kf2F>.

პარლამენტში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ წარდგენილი კანონპროექტების ინიციატორები უმეტესად ქალები არიან, იგივე ტენდენცია იყო მე-8 მოწვევის პარლამენტშიც<sup>3</sup> რაც გასათვალისწინებელი ფაქტორია ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის აქტუალობაზე მსჯელობისას.<sup>4</sup>

## გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებები

გენდერული თანასწორობის საბჭოს [სამოქმედო გეგმის](#) მიხედვით განსაზღვრულია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერი საკანონმდებლო ინიციატივის მომზადების საკითხი, ასევე განსაზღვრულია შესაბამისი ცვლილებების შემუშავების საკითხიც შრომისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

საბჭოს საქმიანობის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობს რამდენიმე ინიციატივაზე, მათ შორის:

- ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით პარტიულ სიებში **კვოტირების სისტემის** შემოღების შესახებ.
- **შრომის კოდექსში** ცვლილებებზე, რომელიც ითვალისწინებს რეგულაციის შემოღებას, მათ შორის სექსუალური შევიწროების შემთხვევებისათვის<sup>5</sup>;
- **სისხლის სამართლის კოდექსში** შესატან ცვლილებებზე ფემიციდის დეფინიციის შემოტანასთან დაკავშირებით;

## IX მოწვევის პარლამენტში მიმდინარე განხილვები

### ▶ პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის შესახებ ინიციატივები

გენდერული კვოტირების, როგორც სპეციალური დროებითი მექანიზმის/ზომის შემოღების შესახებ მოწოდება არაერთხელ გაჟღერდა არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო და სამუშაო ჯგუფების მიერ. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს თანამშრომლობა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმატშიც.<sup>6</sup>

3 ინიციატორები VIII მოწვევის პარლამენტში: ნანა ყვინიშვილი, თეიმურაზ ჭკუასელი, მანანა კობახიძე, გუგული მალრაძე, თამარ კორძაია, თამარ ხიდაშელი. ინიციატორები IX მოწვევის პარლამენტში: თამარ ჩუგოშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი, ნინო გოგუაძე, ნინო წილოსანი, თამარ ხულორდავა, ეკა ბესელია.

4 VIII მოწვევის პარლამენტმა მიიღო: დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ [კანონი](#); არასრულწლოვანთა ქორწინების აკრძალვის შესახებ [ინიციატივა](#); ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში [ცვლილებები](#) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით მუნიციპალიტეტების უფლებამოსილების გაზრდის თაობაზე. **არ იქნა მიღებული შემდეგი საკანონმდებლო ინიციატივები და წინადადებები:** პარტიულ სიებში გენდერული [კვოტირების](#) შემოღების შესახებ; [ფემიციდის](#) კრიმინალიზების შესახებ; შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის (მათ შორის სექსუალური შევიწროების საკითხი) კუთხით საკანონმდებლო [წინადადება](#), ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული [ინიციატივა](#).

5 საქართველოს პარლამენტი, შრომითი უფლებების საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა პარლამენტში, 19.10.2017, <https://goo.gl/KSzeil>.

6 იბ. ბ. პატარაია, „პოლიტიკა ქალების გარეშე - კვოტები, როგორც გამოსავალი“, რიგა/თბილისი, 2015, <https://goo.gl/2bHX8x>; „გენდერული კვოტირება ისევ დღის წესრიგშია“, რადიო თავისუფლება, 12 ივნისი, 2017, <https://goo.gl/UrqnUC>.

**VIII** მოწვევის პარლამენტში აქტიური განხილვის საგანი იყო გენდერული კვოტირების შესახებ ინიციატივა და საკანონმდებლო წინადადება, რომელსაც მხარს უჭერდა არაერთი პოლიტიკური თანამდებობის პირი.<sup>7</sup> უმრავლესობის დეპუტატების საკანონმდებლო ინიციატივის<sup>8</sup> თანახმად, პროპორციულ საარჩევნო სიაში **ყოველ სამ** დეპუტატში ერთი უნდა ყოფილიყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, ხოლო *ქალთა საინიციატივო ჯგუფის* მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებით, პროპორციულ სიაში **ყოველი მეორე** განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა შეეყვანათ.<sup>9</sup>

უმრავლესობის წევრების საკანონმდებლო ინიციატივას იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა<sup>10</sup>, ხოლო პლენარულ სხდომაზე განხილვის შემდეგ საბოლოო კენჭისყრა არ გამართულა.<sup>11</sup> რაც შეეხება ქალთა საინიციატივო ჯგუფის საკანონმდებლო წინადადებას, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა [მოინლონ იგი](#), თუმცა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მას მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, მისი საკანონმდებლო ინიციატივად ჩამოყალიბება არ მოხდა.

2017 წელს პარლამენტს წარედგინა 30 000 ამომრჩევლის ინიციატივა გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით.<sup>12</sup> ინიციატივა<sup>13</sup> (**ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი** - Task force) ითვალისწინებს საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიების ვალდებულებას პარტიულ სიაში წარადგინონ **ყოველი მეორე** განსხვავებული სქესის კანდიდატი.

აღნიშნულ ინიციატივაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ქონდა **დადებითი** დასკვნა<sup>14</sup> და მიზანშეწონილად ჩაითვალა შენიშვნების<sup>15</sup> გათვალისწინებით პლენარულ სხდომაზე განხილვა. გენდერული კვოტირების შესახებ მსჯელობა გაიმართა ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო შეხვედრის ფარგლებშიც.<sup>16</sup>

7 იხ. <https://goo.gl/GBf5kf>; <https://goo.gl/NnXMHQ>.

8 ინიციატორები: უმრავლესობის დეპუტატები ნ. ყვინიშვილი, თ. ჭკუასელი

9 საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ **ინიციატივები** (05.11.2015) <https://goo.gl/vkZftV>; <https://goo.gl/2GiyZ6> (18.06.2015, ინიციატორებმა გაითხოვეს კანონპროექტი). ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის წევრი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის **საკანონმდებლო წინადადება** საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ <https://goo.gl/chXFGq>.

10 საქართველოს პარლამენტი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა, 02.12.2015, <https://goo.gl/AwiwcT>.

11 საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის პლენარული სხდომა, 25.05.2016, <https://goo.gl/gWfQSc>.

12 არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის ინიციატივით საარჩევნო კოდექსში ცვლილების პროექტის **წარდგენის უფლების** განხორციელების მიზნით გერმანულ და ქართველ ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის (მ. კუპრავა-შარვაშიძე) **განცხადება** შეგროვებული ხელმოწერების საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ <https://goo.gl/hetKY8>.

13 30 000 ამომრჩევლის (ავტორი: ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი (Task force) ინიციატივა საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ <https://goo.gl/E5KVtN> .

14 საქართველოს პარლამენტი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა, 05.10.2017 <https://goo.gl/ztHg17>.

15 საქართველოს პარლამენტი, შენიშვნების ფურცელი საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე <https://goo.gl/Trb2uf>.

16 საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანასწორობის საბჭომ სამუშაო შეხვედრაზე გენდერული კვოტირების საკითხზე იმსჯელა, 16.08.2017, <https://goo.gl/TRFbRE>.

## ▶ **ძალადობის მსხვერპლი ქალების შესახებ ინიციატივა**

ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით წარდგენილია ინიციატივა<sup>17</sup> **იურიდიული დახმარების შესახებ და ადვოკატთა შესახებ** კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის შესაბამისად **ფართოვდება იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად კანონით გათვალისწინებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან**. ასეთი ტიპის დავები შესაძლოა იყოს როგორც საოჯახო, უძრავ ნივთთან დაკავშირებული, ასევე სხვა ტიპის დავებიც. წარმოდგენილი კანონპროექტით, შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით ისარგებლოს არამართო ოჯახში ძალადობის, არამედ ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლმაც, იქნება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში მომხდარი ძალადობის შემთხვევები. შესაბამისად, ქალი დაცული იქნება არა მხოლოდ ოჯახურ სივრცეში, არამედ ოჯახის მიღმაც<sup>18</sup>.

## ▶ **მოქალაქეთა პეტიცია სექსუალური შევიწროების აკრძალვის მოთხოვნით**

სექსუალური შევიწროების<sup>19</sup>, როგორც სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის აკრძალვის მოთხოვნით, პარლამენტს მოქალაქეთა პეტიცია წარედგინა<sup>20</sup>. ამ ქმედების რეგულირების საკითხებს შეეხება საერთაშორისო აქტებიც. კერძოდ, ევროკავშირის დირექტივა განსაზღვრავს სექსუალური შევიწროების ცნებას, როგორც **არასასურველი, სექსუალური ხასიათის, ვერბალური ან არავერბალური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ან ინვესს ღირსების შელახვას, ან განსაკუთრებით მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ან ძალადობრივი გარემოს შექმნას**<sup>21</sup>. აღნიშნული პეტიციის შესწავლისა და განხილვის მიზანშეწონილობის საკითხზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, რომლის დასკვნის შესაბამისად, საკითხი გადაეგზავნა გენდერული თანასწორობის საბჭოს შინაარსობრივად მომზადების მიზნით<sup>22</sup>.

17 საკანონმდებლო ინიციატივა ადვოკატთა შესახებ და იურიდიული დახმარების შესახებ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ, 07.12.2017, <https://goo.gl/m3vtTV>.

18 ვრცლად იხ. საკანონმდებლო ინიციატივა <https://info.parliament.ge/#law-drafting/14876>

19 სექსუალური შევიწროებას განმარტავენ როგორც „ადამიანთან არასასურველ ნებისმიერი სახის ინტერაქციას, რომელიც გამონვეულია მისი გენდერული იდენტობით (ან ნაგულისხმევი გენდერული იდენტობით), სექსუალური ორიენტაციით ან გენდერული თვითგამოხატვით და მიზნად ისახავს ან ინვესს მსხვერპლის გაბრაზებას, შეწუხებას, შეშინებას, დამცირებას ან/და ინვესს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ძალადობრივი ან/და მტრული გარემოს შექმნას. ვრცლად იხ. კავშირი „საფარი“, სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში: საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2017, <https://goo.gl/dP732G>

20 იხ. <http://netgazeti.ge/news/228323/>

21 იხ. Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council, <https://goo.gl/PvzNxD>.

22 საქართველოს პარლამენტი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა, 07.11.2017 <https://goo.gl/F65Mm5>

### საკონსტიტუციო ცვლილება გენდერული თანასწორობის შესახებ

პოზიტიურად უნდა შეფასდეს 2017 წელს განხორციელებული ცვლილება, რომლის შესაბამისად, კონსტიტუციას დაემატა ჩანაწერი, **რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის**. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად<sup>23</sup>.

### სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება და გამომდინარე ცვლილებები კანონმდებლობაში

მნიშვნელოვანი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (**სტამბოლის კონვენცია**) რატიფიცირება, რომელსაც საქართველომ ხელი 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა. როგორც აღნიშნავენ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა გენდერულ საფუძველზე ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფორმაა ევროპაში<sup>24</sup>. კონვენციის რატიფიცირებას მოყვა ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- **„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“** კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა კანონის მოქმედების სფერო და **იგი მოიცავს არამართო ოჯახის ფარგლებს, არამედ, ზოგადად, ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობას**. ასევე, ქალთა მიმართ ძალადობა განიმარტება, როგორც **გენდერული ნიშნით** ჩადენილი ძალადობის ყველა ის ქმედება, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ზიანის ან ტანჯვის მიყენება, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. გაუქმდა **შემაკავებელი ორდერის** ძალაში შესვლისთვის 24 საათში სასამართლოში წარდგენის ვალდებულება. 2022 წლიდან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უფლებამოსილი იქნება კანონით განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში, მიყენებული ზიანის სანაცვლოდ მოითხოვოს **კომპენსაცია სახელმწიფოსაგან**.
- **სისხლის სამართლის კოდექსში** ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა, მათ შორის: განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა **იძულებითი სტერილიზაციისათვის**; ასევე მოხდა ქალის **გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაცია**; განისაზღვრა **ადევნებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა**. დანაშაულებისათვის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად ასევე ჩაითვლება **გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის** მოტივი.

23 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, მესამე პუნქტი. ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

24 ვრცლად იხ. <https://goo.gl/krMX9y>

- **გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში** განხორციელებული ცვლილებით შეიქმნა გენდერულ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე **უნყებათაშორისი კომისია**.
- **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში** განხორციელებული ცვლილებით შსს-ს მიერ ადმინისტრაციული დაკავების განხორციელების შემთხვევებს დაემატა ქალთა მიმართ ძალადობის ჩადენის შემთხვევა.
- **სამოქალაქო საპროცესო კოდექსში** განხორციელებული ცვლილებით სასამართლო მედიაცია არ გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ დავებზე.
- **შრომის კოდექსში** განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა, რომ შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველია არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის, არამედ ასევე ზოგადად ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება, რომლის დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება. ასეთ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობის შეჩერება შესაძლებელია წელიწადში 30 კალენდარულ დღემდე ვადით.
- **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში** შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს ღონისძიებები არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის, არამედ ასევე ქალთა მიმართ ნებისმიერი ძალადობის პრევენციის და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით.
- პარლამენტმა, ასევე, მხარი დაუჭირა ინიციატივას<sup>25</sup> „**ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ**“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი მთავრობის მხრიდან ეროვნული რეფერალური პროცედურების<sup>26</sup> შესახებ დადგენილების მიღებისათვის. ოჯახში ძალადობის საკითხებთან ერთად, საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოში მოექცა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებიც.

## ქალთა წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში

2016 წლის არჩევნების შედეგად პარლამენტში 150 ნევრიდან 23 ქალი, რაც საერთო შემადგენლობის 15.3 %.<sup>27</sup> გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მაჩვენებლით, 144 ქვეყანას შორის საქართველო 94-ე ადგილზეა<sup>28</sup>.

25 ვრცლად იხ. <https://goo.gl/7VYSNT>















26 ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერალური პროცედურები განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სუბიექტების დროული, კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის საკითხებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველად იდენტიფიკაციასთან, გამოვლენასთან, მათ დაცვასთან, დახმარებასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

27 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მანდაზე უარი თქვა სანდრა რულოვსმა, მის ადგილმონაცვლედ პარლამენტის წევრი გახდა გიორგი ღვინიაშვილი

28 World Economic Forum, The Global Gender Gap Report 2017, <https://goo.gl/SEoSjt>.

1992 წლიდან 2008 წლის ჩათვლით პერიოდში ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში არსებითად ნაკლები იყო კაცების რაოდენობასთან შედარებით<sup>29</sup>.

დიაგრამა 1. 1992-2008 წლებში საკანონმდებლო ორგანოში მანდატების განაწილება სქესის მიხედვით

წლები	განაწილება			
1992	14 ქალი		212 კაცი	
1995	14 ქალი		207 კაცი	
1999	16 ქალი		207 კაცი	
2004	21 ქალი		204 კაცი	
2008	9 ქალი		141 კაცი	
2012	18 ქალი		132 კაცი	
2016	24 ქალი		126 კაცი	

კანონმდებლობაში პერიოდულად ხორციელდებოდა ცვლილებები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ნახალისების მიზნით, კერძოდ შეიცვალა პოლიტიკური პარტიებისათვის დამატებითი დაფინანსების მიღების წესი განსხვავებული სქესის წარმომადგენლობასთან მიმართებით. 2011 წლამდე საარჩევნო სუბიექტი, დაფინანსებაზე 10%-ის ოდენობით დანამატს იღებდა, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილი იქნებოდა სულ მცირე 20%-ით<sup>30</sup>.

მოქმედი რეგულაციით კი გათვალისწინებულია პარტიის შესაძლებლობა მიიღოს დამატებით საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ სიაში კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით<sup>31</sup>.

**მიუხედავად ამისა, აღნიშნული შესაძლებლობა ვერ უზრუნველყოფს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხის გაძლიერებას.**

29 ვრცლად იხ. ცესკო, არჩევნები - გენდერული სტატისტიკა, 2016, <https://goo.gl/C25rL5>.  
 30 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, 2011 წლის 28 დეკემბრის რედაქცია <https://goo.gl/1bo8kE>.  
 31 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის 7 პრიმა ნაწილი, <https://goo.gl/YEXumq>.

ცხრილი 1. საარჩევნო სუბიექტების მიერ 30% -იანი დანამატის მიღების შესახებ ინფორმაცია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

<b>პოლიტიკური პარტია / საარჩევნო სუბიექტი</b>	<b>გენდერის დანამატი 30 %-ის ოდენობით</b>
<b>საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია</b>	<b>90,000</b>
<b>პ/გ „თავისუფალი დემოკრატები“</b>	<b>90,000</b>
<b>შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია</b>	<b>90,000</b>
<b>პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა</b>	<b>90,000</b>
<b>დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო</b>	<b>45,000</b>
<b>პ/გ გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა</b>	<b>180,000</b>
<b>დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი</b>	<b>15,000</b>
<b>ტრადიციონალისტები</b>	<b>15,000</b>
<b>კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო</b>	<b>15,000</b>
<b>თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა</b>	<b>15,000</b>
<b>საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტ.მოძრაობა</b>	<b>15,000</b>
<b>ახალი ქრისტიან-დემოკრატები</b>	<b>15,000</b>

ეს ბლოგი მომზადდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ დაფინანსებული პროექტის „პარლამენტის ანგარიშვალდებულების და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გაძლიერების“ ფარგლებში. ბლოგში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

